მიხეილ მესხის “ჰეტ-თრიკი”

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 7 აგვისტო.

“დინამო” (თბილისი) _ “ზენიტი” (ლენინგრადი) 6:1 (1:0).

“დინამო”: კოტრიკაძე (ურუშაძე), რეხვიაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, გ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი (დათუნაშვილი), მეტრეველი, ნოდია, მესხი.

“ზენიტი”: ბელკინი, ლოხოვი (ნაუმოვი), ნეპომილუევი, სიროვი, ვინოგრადოვი, სადირინი, ნიკოლაევი, გუსევი, გონჩაროვი, რუდი, სოლოვიოვი.

მსაჯი ვ. ტოლჩინსკი (ალმა-ათა).

დუბლიორები _ 0:0.

“ჰეთ-თრიკი” ინგლისური საფეხბურთო ტერმინოლოგიით ნიშნავს ერთ მატჩში გატანილ სამ ბურთს. გუშინ ჩვენი გუნდის მარცხენა გარემარბმა მესხმა, რომელსაც ხშირად აყვედრიან “მცირეგოლიანობას”, სრული ბრწყინვალებით მოახდინა თავისი მდიდარი მონაცემების დემონსტრაცია და შეასრულა ეს “ჰეთ-თრიკი”!

ეს შემთხვევით არ მომხდარა. თავის საიუბილეო _ 250-ე მატჩში მესხი აგრესიულად იყო განწყობილი, იოლად გადიოდა ზენიტელთა დაცვის რიგებს, სისტემატურად ქმნიდა საგოლე მომენტებს და მუდამ კარზე იყო დამიზნებული. იგი რომ სრული დატვირთვით გამოეყენებინა გუნდს პირველ ნახევარში, გუშინდელ მატჩში ჩემპიონატის სარეკორდო ანგარიშს მივაღწევდით.

რა თქმა უნდა, დინამოელებმა საუცხოოდ ითამაშეს (განსაკუთრებით შესვენების შემდეგ), მაგრამ ასეთი სუსტი “ზენიტი” თბილისელ მაყურებელს ჯერ არ უნახავს. პირველ ტაიმშიც კი, რომელიც ლენინგრადელებმა მხოლოდ მინიმალური ანგარიშით წააგეს, მათი კარი იღბლად გადაურჩა რამდენიმე აშკარა გოლს.

ანგარიში გაიხსნა მაშინვე, როგორც კი თამაში დაიწყო. სიჭინავა ოსტატურად გავიდა რამდენიმე მცველს შორის და ზედ კარის წინ მიაწოდა ნოდიას _ 1:0. “გოლების წვიმა” მოვიდა მეორე ტაიმში, როცა დინამოელებმა როგორც ჯერ არს აიღეს ხელთ თამაშის სადავეები და “ზენიტი” მის საჯარიმო მოედანს მიაჯაჭვეს. მეორე გოლის ავტორი გახდა დათუნაშვილი მესხის ზუსტი გადაცემის შემდეგ (58-ე წ.). და ამ მომენტიდან თბილისელებმა არავითარი შანსი არ დაუტევეს მოწინააღმდეგეს გონს მოსასვლელად. მესხმა ჯერ ნოდიასთან გაითამაშა საჯარიმო და თვითონვე ზუსტად დააგვირგვინა იგი, შემდეგ მანვე შორი მანძილიდან წამოიღო ბურთი, რომელიც კარის შორეულ კუთხეში იქნა “მივლინებული” _ 4:0.

სტუმრებმა ერთი გოლის გაქვითვა შეძლეს 77-ე წუთზე (გონჩაროვი), მაგრამ ეს მხოლოდ ეპიზოდი იყო მეორე ტაიმისა. მესხმა 81-ე წუთზე კარგა ხანს ატრიალა ნეპომილუევი და მოულოდნელად დაარტყა კარში, ხოლო მატჩის ბოლო, 90-ე წუთზე მეტრეველმა მოახდინა დათუნაშვილთან უხეში თამაშისთვის დანიშნული პენალტის რეალიზაცია.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 8 აგვისტო, 1967 წ.